ონის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის

ო ქ მ ი N01

ქ. ონი 1 აგვისტო 2023 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

- სერგო ხიდეშელი - სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის მერი;
- თინათინ ბროლაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის კორდინატორი;
- ვალერიან გობეჯიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- თეიმურაზ გძელიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ეკონომიკის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- გივი ბენდიანიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ლერი მღებრიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- მანანა ჩაგელიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ელენე ჩიკვილაძე - სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- თამარ ხომასურიძე - ახალგაზრდული საბჭოს წევრი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ალავერდ ხვედელიანი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- გიორგი მარკოიშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- სერგო ლობჯანიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- მამუკა ყავლაშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ლევან ორდინიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- სონია გუგეშაშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ვასილ მეტრეველი - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;

- ნინო მეტრეველი - სამუშაო ჯგუფის მდივანი, მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების უფროსი;

დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პირველადი ვარიანტისა და ზღვრული მოცულობების წარდგენა.

მოისმინეს:

სხდომა გახსნა მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, თინათინ ბროლაშვილმა, რომელმაც ისაუბრა 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადების თაობაზე. დოკუმენტის პირველად ვარიანტში გათვალისწინებული იქნა ფინანსთა სამინისტროდან 15 ივლისს მიღებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები, რომელიც გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 9%-ით, შესაბამისად გაზრდილი იქნა გადასახდელების სხვადასხვა მუხლები. აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში გათვალისწინებული იქნება მერის წარმომადგენლების მიერ მოწოდებული მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები, რომელიც ემთხვევა ჩვენს მიერ დაგეგმილ პროექტებს. ეს დოკუმენტი პირველადი ვარიანტია, ზღვრული მოცულობების განსაზღვრისა და მოწონების შემდეგ დაზუსტებული იქნება საბიუჯეტო მხარჯავი დაწესებულებების მიერ წაარმოდგენილი პროგრამების, ქვეპროგრამების, ღონისძიებებისა და ოქტომბრის თვეში ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ძირითადი საბიუჯეტო პარმეტრების შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა ა(ა)იპ-ების თანამშრომელთა დაბალი ხელფასების შესახებ და ინიციატივა გამოთქვა მის გაზრდასთან დაკავშირებით, რომელზეც სამუშაო ჯგუფის ყველა წევრი დაეთანხმა.

განხილული იქნა ონის მუნიციპალიტეტის თითოეული პრიორიტეტზე განსაზღვრული პროგრამები. სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა გივი ბენდიანიშვილმა ისაუბრა ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, რომლებიც იგეგმება მომავალი ოთხი წლის განმავლობაში. გასულ წელს დაწყებული სოფლებში მისასვლელი გზების კაპიტალური შეკეთება-ასფალტირების სამუშაოები გაგრძელდება სოფელ ლაგვანთა საკაო-მაჟიეთი-ხიდეშლები გზის ასფალტო-ბეტონით მოწყობა, სოფელ სევის გზის ასფალტირება, კვლავ გაგრძელდება, ქ.ონში საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობა და ქ. ონში აგრარული ბაზრის მშენებლობის სამუშაოები. მიმდინარე წელს შეძენილი პროექტები სოფლებში მისასვლელი გზების მოწყობაზე ეტაპობრივად გადანაწილდება მომავალ წლებში; ასევე ეტაპობრივად შესრულდება წყლის სისტემის ცენტრალური მაგისტრალის და შიდა ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები სოფელი სევა, ფარახეთი, შარდომეთი, ახალი ჩორდი, ზვარეთი, ხეითი, ჯოისუბანი; ასევე განხორციელდება სოფლებში გარე განათების ქსელის მოწყობის რეაბილიტაცია; განხორციელდება სოფლებში წყალანირების სისტემის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა, ასევე გაგრძელდება ქალაქის სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელება. ყურადღება მიექცევა უკვე განხორციელებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვას.

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე ვასილ მეტრეველი გამოვიდა ინიციატივით, რომ სოფელ უწერაში, მიმდინარე წყალანირების მოწყობის სამუშაოების დასრულების შემდგომ შიდა სასოფლო გზების ასფალტირება პრიორიტეტული იქნება, რადგან სასტუმროების მშენებლობა

აქტიურ ფაზაშია და მომავალში ბევრი დამსვენებლის მიღებასაც გეგმავს. მან ისაუბრა შქმერი-მრავალმალის და შქმერი-ქორთის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის აუცილებლობაზე, რათა კომფორტული იქნას გადაადგილება, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის ასევე შემოსული დამსვენებლებისათვის. აუცილებელია წყალანირების მოწყობის სამუშაოები გაგრძელებული იქნას საკურორტოდ მიმზიდველ სოფლებში, მან ასევე ისაუბრა საინჟინრო საზედამხედველო მომსახურებაზე, რომელზეც ხორციელდება სატენდერო შესყიდვა და უმჯობესი იქნება მერიის საზედამხედველო სამსახურის გაძლიერება, კვალიფიციური კადრებით შევსება.

სერგო ლობჯანიძემ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ყურადღება უნდა მიექცეს ტურიზმის განვითარებისათვის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. კერძოდ ღებიდან ბრილში ეკლესიამდე მისასვლელ გზაზე ხიდის მშენებლობა და სასვანოს მიმართულებით გზის მოწყობას. მერმა სერგო ხიდეშელმა აღნიშნა, რომ პროექტი მომზადებულია შქმერი-მრავალმლის მიმართულებით გზის რეაბილიტაციაზე და მოხდება მისი პრიორიტეტების ნუსხაში გათვალისწინება, ხოლო ბოყვა-ხირხონისი-ჟაშქვის მიმართულებით გზის მშენებლობა პრობლემურია რთული რელიეფის გამო და მიმდინარეობს ალტერნატიული შემოვლითი გზის მოძიება. მომავალში ეტაპობრივად განხორციელდება ტურიზმის განვითარებისათვის გზების მოწესრიგება. მერმა ასევე ისაუბრა დიდი პროექტების განხორციელების თაობაზე სოფლებში, რათა მოწესრიგდეს წყლისა და წყალანირების სისტემები, რომლის პროექტირებებიც ეტაპობრივად მიმდინარეობს. ასევე ბრილში მდ.რიონზე გადასასვლელი ხიდის მოწყობის პროექტირების მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ ხიდის მშენებლობა დიდ თანხებთან არის დაკავშირებული და სასურველია აღნიშნული მიმართულებით მოეწყოს საცალფეხო ხიდი.

თამარ ხომასურიძემ, ახალგაზრდული საბჭოს წევრმა, იკითხა მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბებული ორი კლასტერის დაფინანსებასთან დაკავშირებით, თუ რა ფორმით მოხდება მათი ხელშეწყობა და რა შედეგს მოგვცემს მათი მუშაობა. კლასტერებთა დაკავშირებით ეკონომიკის სამსახურის უფროსმა - თეიმურაზ გძელიშვილმა გაგვიზიარა რუმინეთში მომუშავე კლასტერების გამოცდილება და აღნიშნა, რომ ისინი მუშაობენ დიდ პროექტებზე გრანტების მოსაპოვებლად, მათ ეხმარებიან კვალიფიციური პირები და დიდია მუნიციპალიტეტის ჩართულობა. მერმა და სამუშაო ჯგუფის წევრებმაც გამოთქვეს, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან იყოს მეტი ჩართულობა კლასტერების სამუშაო პროცესში, კერძოდ: მეწარმეების მიერ წარმოდგენილი ინიციატივებზე პროექტების შედგენაში ხელშეწყობა, ასევე გრანტის გამცემ ორგანიზაციების მოძიება და თანამშრომლობა.

სონია გუგეშაშვილმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ისაუბრა ავთენტურ კულტურულ ღონისძიებების ნაკლებობაზე და აღნიშნა, რომ ბევრ მუნიციპალიტეტს არ ჰყავს ისეთი ცნობილი კულტურული მოღვაწეები, როგორც ჩვენს რაიონს (საშა რეხვიაშვილი, გიგა და შალვა ჯაფარიძეები, ბორის გუგეშაშვილი და სხვა.) და სასურველია ყოველ წლიურად დაიგეგმოს მუნიციპალიტეტში მათი სახელობის კონკურსი/ფესტივალი (დოკუმენტური ფილმების ფესტივალი, თეატრალური ფესტივალი, ფოლკლორული ფესტივალი და სხვა.). მანანა ჩაგელიშვილმა აღნიშნა რომ 2018 წლიდან იმართებოდა ავთენტური ფესტივალი, პანდემიის პერიოდში შეწყდა ფესტივალების ჩატარება და შესაძლებელი იქნება წარმოდგენილი პროექტების შესაბამისად ფესტივალის ჩატარება. ვასილ მეტრეველმა ასევე აღნიშნა, რომ სპორტის მიმართულებით წარმატებული სპორტსმენების სახელობის ტურნირები დიდ რეზონანს ტოვებს სპორტის მესვეურებში და დიდი ჩემპიონატების ჩატარება მუნიციპალიტეტისთვის იქნება პრესტიჟი და ხელს შეუწყოს ცნობიერების ამაღლებას.

ვასილ მეტრეველმა ასევე აღნიშნა, რომ მერიის ახლანდელი შენობა გათვლილი იყო სახელოვნებო სკოლებისთვის, ამჟამად მათი სამუშაო პირობები არადამაკმაყოფილებელია და სასურველია ამ შენობით ისარგებლონ სახელოვნებო სკოლებმა. ჩვენთვის პრიორიტეტულია მოხდეს ძველი სავადმყოფოს შენობის რეაბილიტაცია სადაც განთავსდება როგორც საკრებულო და მერია, ასევე რამდენიმე ა(ა)იპი ორგანიზაცია.

სამუშაო ჯგუფმა დაადგინა:

სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ონის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტი (პირველადი ვარიანტი) დამუშავდება, წარმოჭრილი წინადადებები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული იქნება და 15 აგვისტომდე განისაზღვრება ონის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი ზღვრული მოცულობებით.

თავმჯდომარე:	_____ სერგო ხიდეშელი
სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი:	_____ თინათინ ბროლაშვილი
მდივანი:	_____ ნინო მეტრეველი
სამუშაო ჯგუფის წევრი:	_____ ვალერიან გობეჯიშვილი
	_____ თეიმურაზ გძელიშვილი
	_____ გივი ბენდიანიშვილი
	_____ მანანა ჩაგელიშვილი
	_____ ლერი მღებრიშვილი
	_____ თამარ ხომასურიძე
	_____ ელენე ჩიკვილაძე
	_____ ალავერდ ხვედელიანი
	_____ გიორგი მარკოიშვილი
	_____ სერგო ლობჯანიძე
	_____ სონია გუგეშაშვილი
	_____ ვასილი მეტრეველი
	_____ ლევან ორდინიძე
	_____ მამუკა ყავლაშვილი